ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4657176

ნომერი: AR1702684

თარიღი : 22.08.2019

გაცემის თარიღი : 04.09.2019

გაცნობის თარიღი : 04.09.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 68;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა გელაშვილი პ/ნ 35001056850
- რუსთავი XII მ/რ კორ. 19 ბ. 49

ორგანიზაცია:
- ი/მ გოჩა გელაშვილი კოდი: 35001056850

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

საჭიროა განიმარტოს ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით და წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით. მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია სავაჭრო ცენტრი და მიწის ნაკვეთის ამონაწერშიც მხოლოდ კომერციული ფართებია მითითებული, აქედან გამომდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ვერ შეიქმნება საპროექტო მიწის ნაკვეთზე, შესაბამისად ბმა „გალერეას 2019 “ წლის წესდება ვერ იქნება მიღებული (ვერ დგინდება თუ რის საფუძველზეა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში განიმარტოს). საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს ამხანაგობა "აღმაშენებელი 2011", შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მისი სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად უფლებამისილი პირის/ორგანოს მიერ გაცემული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებზე

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.